

გერმანული ექსპრესიონისტული კინოს როლი ნაციზმის დაბადებაში

ლევან აბდუშელიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების
და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები
(კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მხეიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლევან აბდუშელიშვილი

08.07.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის გერმანული ექსპრესიონისტული კინოს როლს, ნაციზმის დაბადებაში. აღნიშნული კვლევა განსაზღვრავს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ექსპრესიონისტულ ფილმებზე დაყრდნობით, ვიმსჯელოთ ჰიტლერისა და ზოგადად ფაშიზმის დაბადებაზე ვაიმარის რესპუბლიკაში.

ნაშრომში გამოყენებულია მეორადი მონაცემების ანალიზის მეთოდი, ასევე კულტურის კვლევის მეთოდი, კონტენტ-ანალიზი და კინო გამოსახულების ვიზუალური ანალიზი. ძირითადი აქცენტი კეთდება კინოთეორეტიკოსების ზიგფრიდ კრაკაუერისა და ლოტა აისნერის მიერ გამოქვეყნებულ ორ საეტაპო მნიშვნელობის წიგნზე, გერმანული ექსპრესიონიზმის შესახებ.

ერთი მხრივ, კრაკაუერის „კალიგარიდან ჰიტლერამდე“ და მეორეს მხრივ, ლოტა აისნერის „აჩრდილების გამოსახულება“ სამუალებას მოგვცემს, ახლებურად გადავიაზროთ მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. რამდენად შესაძლებელია კინომ (მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე მასობრივი ხელოვნებაა) საფუძველი ჩაუყაროს მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტირანიის დაბადებას.

მიღებული შედეგები დაგვეხმარება გავაღრმავოთ ან პირიქით, შევამსუბუქოთ კავშირი გერმანულ ექსპრესიონიზმსა და ნაციზმს შორის. ექსპრესიონისტული კინოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეჟისორი ფრიც ლანგი კატეგორიულად ემიჯნება ზემოთაღნიშნული ავტორების მოსაზრებებს და თვლის, რომ გერმანულ ექსპრესიონისტებს არანაირი ბრალი არ მიუძღვით მესამე რაიხის დაბადებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გერმანული ექსპრესიონიზმი, ფაშიზმი, ზიგფრიდ კრაკაუერი, ლოტა აისნერი¹

¹ აღნიშნული ნაწილი გადამუშავებულია აკადემიური წერის კურსის გავლის ფარგლებში ჩემ მიერ

Abstract

The present paper will study the role of German expressionism cinema in the birth of fascism. This study will determine how possible is it to discuss the birth of Hitler and Nazism in Weimar Republic, based on expressionism. In the work are used the secondary source, analysis method, culture research method, content analysis and visual analysis of movie images. The main focus will be on the works of film theorists: Siegfried Kracauer and Lotte H. Eisner. On the one hand Kracauer's "From Caligari to Hitler" and on the other Lotte H. Eisner's "The Haunted Screen" will help to rethinking the results of their research. How possible is it that Cinema (Despite of it's the most mass art) contribute the birth of the most terrifying tyranny of the history of world. The results will help us to deepen or lighten the connection between German expressionism and Nazism. One of the biggest director of German expressionism cinema, Fritz Lang denies the hypotheses raised by the Kracauer and Eisner and thinks that the expressionists have not been blamed for the birth of the Third Reich.

Key search Keywords: German expressionism, Fascism, Siegfried Kracauer, Lotte H. Eisner.²

² აღნიშნული ნაწილი გადამუშავებულია აკადემიური წერის კურსის გავლის ფარგლებში ჩემ მიერ